ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15230892**
თარიღი:**30/03/2023**

ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „თაუერ ჯგუფი“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შპს „თაუერ ჯგუფს“ მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად თანდართულ, მიწის ნაკვეთების სიტუაციური გეგმებით განსაზღვრულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ბათუმში, მდ. ბარცხანას და მდ. ყოროლისწყალს შორის მდებარე 27046,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.30.37.035) ნაწილზე - 61,0 კვმ-ზე და ქალაქ ბათუმში, ქუჩა ნაწილი N4-ში მდებარე 32163,0 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.30.20.006) ნაწილზე - 5,0 კვმ-ზე ხიდის საყრდენების განთავსებაზე შემდეგი პირობებით: გადასასვლელი ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის; ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს. გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 6 (ექვსი) თვეში.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი